მასწავლებლების ემოციური მხარდაჭერის კავშირი მოზარდების სასწავლო მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებასთან ინგლისურის, როგორ მეორე ენის სწავლებისას

მარიამ კოშკაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

მარიამ კოშკაძე

თარიღი: 02.06.2023

აბსტრაქტი

საკვლევი თემა და საკითხები: მასწავლებლების ემოციური მხარდაჭერა საკლასო ოთახში პოზიტიური გარემოს შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ის პირდაპირ უკავშირდება მოსწავლეების სასწავლო მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებას. გარდნერის მიხედვით სასწავლო მოტივაციის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხო ენის სწავლებისას. სწორედ ამიტომ საინტერესო გახდა გვეკვლია კავშირი მასწავლებლების ემოციურ მხარდაჭერას, სასწავლო მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებას შორის ინგლისურის, როგორც მეორე ენის სწავლებისას. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მსგავსი კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. **კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებმა - სულ 90 მონაწილე. კვლევა ჩატარდა ქ. თბილისის №23-ე და №161-ე საჯარო სკოლებში რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით. კერძოდ, მონაცემები დამუშავდა კორელაციური და მრავლობითი რეგრესიული ანალიზის გამოყენებით. **კვლევის შედეგები:** კვლევის შედეგებით დადებითი კორელაცია დადგინდა პოზიტიურ კლიმატსა და აკადემიურ მოსწრებას შორის, ასევე, სასწავლო მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებას შორის. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ დადასტურდა მოზარდების მხრიდან აღქმულ მასწავლებლების

ემოციურ მხარდაჭერასა და მოსწავლეების სასწავლო მოტივაციას შორის. მრავლობითი რეგრესიული ანალიზის საფუძველზე პოზიტიური კლიმატი და სასწავლო მოტივაცია, როგორც აკადემიური მოსწრების პრედიქტორები, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მულტი კოლინეარობის ანალიზის საფუძველზე კი დადგინდა, რომ პრედიქტორულ ცვლადებს შორის არ არის მაღალი კორელაცია, შესაბამისად არის ჯანსაღი მოცემულობა. **შედეგების მნიშვნელობა:** კვლევის შედეგების მიზანია მასწავლებლებს დაანახოს სწავლა-სწავლების პროცესში სასიამოვნო და მამოტივირებელი გარემოს მნიშვნელობა და მისი გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მასწავლებელი, მოზარდი, სწავლა-სწავლების პროცესი, ემოციური მხარდაჭერა, პოზიტიური კლიმატი, სასწავლი მოტივაცია, აკადემიური მოსწრება.

Abstract

Research topic and issues: emotional support of teachers is one of the important aspects of creating a positive environment in the classroom. It is directly related to the educational motivation and academic performance of students. According to Gardner, the presence of instructional motivation is particularly important in teaching a foreign language. This is why it has become interesting to explore the relationship between teachers ' emotional support, learning motivation and academic performance when teaching English as a second language. Especially considering that such research has not yet been conducted in Georgia. **Research methodology:** 9th and 10th grade students took part in the study-a total of 90 participants. The study was conducted in St. Tbilisi school №23 and №161. The study was conducted by quantitative research methods, in particular the data were processed using correlational and multiple regression analysis. **Results of the study:** the results of the study found a positive correlation between positive climate and academic performance, as well as academic motivation and academic performance. No statistically significant relationship was demonstrated between the emotional support of teachers perceived by adolescents and the learning motivation of students. Based on regression analysis, positive climate and learning motivation as predictors of academic performance were found to be statistically significant. Based on multi-collinearity analysis, it was concluded that there is no high correlation between predictor variables, therefore there is a healthy

given. **Importance of the results:** the aim of the research is to give teachers some leverage to create a learning environment in which the learning and teaching process will be more enjoyable and motivating for the students, which, in turn, will have a positive impact on their academic performance.

Key Words: Teacher, Adolescent, Learning-teaching Process, Emotion Support, Positive Climate, Learning Motivation, Academic Achievement.

მადლობა

სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისთვის განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ დარეჯან კახიანს. მისმა პროფესიონალურმა მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნაშრომის განვითარებასა და დასრულებაში. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორს ქალბატონ ანა მაყაშვილს მონაცემების სტატისტიკურად დამუშავებისას გაწეული კონსულტაციებისთვის.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ქ. თბილისის 161-ე და 23-ე საჯარო სკოლების ადმინისტრაციას კვლევის ჩატარების ნებართვისთვის და თითოეულ მონაწილეს, კვლევაში მონაწილეობისთვის.